ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-631

„20" ოქტომბერი 2022 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით გაზიანი მინერალური და გამაგრილებელი სასმელის შეძენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული რაოდენობის გაზიანი მინერალური და გამაგრილებელი სასმელის შეძენა, თანხით 2020,80 (ორი ათას ოცი ლარი, ოთხმოცი თეთრი) ლარი.
2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ხარჯის ანაზღაურება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროგრამით „მერიის ადმინისტრაცია" (კოდი: 10 02) „წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის" გათვალისწინებული ასიგნებებიდან.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

დანართი N 1

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება,(ლარი)
1	გამაგრილებელი სასმელი „კოკა-კოლა“, 0,33 ლ. მეტალის ქილა	600	1,70	1020
2	წყალი „სნო“ 0,5ლ, პეტი	240	0,70	168
3	გაზირებული მინერალური სასმელი „ბორჯომი“ 0,5ლ შუშა	240	1,90	456
4	ცივი ჩაი, 0,5ლ პოლიეთილენი.	180	1,90	342
5	გაზირებული მინერალური სასმელი „ბორჯომი“ 0,33 ლ. ქილა	24	1,45	34,80
	სულ:			**2020,80**

საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 9 (ცხრა) თვე. მოწოდების ვადა მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღე. მოწოდების ადგილი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა N7.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი — გ. ქვაჩახია

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი — ნ. მერკვილიშვილი